7 124

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 2 1883-1891 30 იანვარი.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით	5 მან.	12 თვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით *въ Кваирилы, Въ редакцію „Микеми“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულის ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ორ-კლასიანი სამაგალითო სკოლის გახსნა და კურთხევა მარტვილში.

ჩვენი ბედი და იღბალი, ჩვენი სასურველი მომავალი და კეთილ-დღეობა დამოკიდებულია უმთავრესად ჩვენი მომავალი მოზარდი თაობის განათლებაზედ. ამისათვის ყოველგვარი სკოლების გახსნა სასიამოვნო უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც კი გული შეტკივა ჩვენს ხალხზედ. ერთ ამ გვარ სკოლას ეკუთვნის მარტვილის ახლად გახსნილი ორ-კლასიანი სამაგალითო სკოლაც. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ მარტვილში შენდებოდა სახლი ორ-კლასიანი სამაგალითო სასწავლებლისათვის ყოველად სამღვდელო ეპისკოპოსის **გრიგორის** თაოსნობით და საფასით. დღეს ეს შენობა მზად არის. ჩვენ თვითონ ვნახეთ ეს შენობა, დავესწარით მის კურთხევასა და გახსნას და უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, თუ ორ-კლასიანი სკოლისათვის ამისთანა შენობას აგებდნენ სოფლად. შენობა არის ქვიტკირისა, გრძელი, საკმაოდ განიერი და მაღალი. შენობა აღშენებულია სწორედ იმ მაღლობ ადგილზედ, სადაც წინად სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენობა იყო. მთელი შენობა ხუთ ოთახად არის გაყოფილი. თითო ოთახში სამოც-სამოცი ბავ-

შვი ადგილად მოთავსდება. ერთი მხრით შენობას აქვს აივანი, ეზო აქვს სრული. ამ შენობას უკანასკნელი რვა ათასი მა ეთი არ ეყოფოდა, მაგრამ ყოვ. სამღვდელოს მეცადინეობით და მოხერხებით ეს შენობა ბევრად იაფად დამჯდარა. ამ სკოლის საკურთხად ამ იანვრის უკანასკნელ რიცხვებში ფოთიდამ მობრძანდა ყოველად სამღვდელო გრიგორი. მარტვილის ტაძარში წირვის შესრულების შემდეგ ყოველად სამღვდელო გრიგორი არქიმანდრიტი იონას და მრავალი სამღვდელოების თანადასწრებით შემოსილნი გამოვიდნენ ტაძრიდამ და შევიდნენ ამ ახალს აგებულს შენობაში, რ.ომელიც ტაძრის მახლობლად არის. აქ შენობის ერთ დიდ ოთახში მრავალი «საზოგადოების თანა დასწრებით გარდახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის გათავებისას ყოველად სამღვდელო გრიგორიმ წარმოსთქვა მშვენიერი და გრძნობით სავსე სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა მსმენელებზე. სიტყვა იყო წარმოთქმული ზეპირად და დაუწერლად. ამისათვის, ჩვენდა სამწუხაროდ, სიტყვა სიტყვით ვერ ვბეჭდავთ ამ სიტყვას. ყოველად სამღვდელომ თავის სიტყვაში პირველად მოუთხრა მსმენელთ მარტვილის ტაძრის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა მას ძველს დროში მთელი სამეგრელოისათვის სარწმუნოების, ზნეობითის და სწავლა-განათლების მხრით. ბოლოს მათმა მეუფებამ განმარტა, თუ რამ გამოიწვია საეპისკოპოზო კათედრის გადატანა მარტვილიდამ. «სამეგრელოის მცირე ეპარქიისათვის, ბრძანა ყოველად სამღვდელომ, მარტვილი იყო შუა გული ადგილი, საიდგანაც ერცელდებოდა ნათელი ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლისა. მაგრამ დრო შეიცვალა და სამეგრელოის მცირე ეპარქია გადიდდა, ასე რომ მარტვილი ამ ერცელი ეპარქიისათვის შუა ადგილს აღარ შეადგენდა. ამისათვის უმაღლესმა სასულიერო მართებლობამ საუმჯობესოდ დაინახა კათედრისათვის სხვა ადგილი გამოერჩია; ამით მარტვილს მოაკლდა თავისი ძველი მნიშვნელობა სამეგრელოის მკვიდრთა სამწუხაროდ. მარტვილი მოაკლდა არა მარტო მღვდელ-მთავრების კათედრას, არამედ ერთად ერთ სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელს, რომელშიაც, მარტვილის ახლო-მახლო სოფლების მკვიდრთა შვილები იღებდენ განათლებას. ასე დაობლებული შეიქმნა მარტვილი. ეს დიდი სამწუხარო იყო, რასაკვირველია, ყველა აქაურ მკვიდრთათვის და განსაკუთრებით ჩემთვის, რომელიც ამ მონასტერში აღვიზარდე, აქვე ვიმსახურე და კარგად მახსოვს ამ მონასტრის ძველი დიდება. ამისათვის სულით და გულით ვსცდილობდი, რომ რამე ნუგეში მიმეცა მარტვილის მკვიდრთათვის. მთავრობამ, რომელიც დაუღალავად ზრუნავს ხალხის განათლებისათვის, გარდასწყვიტა სამეგრელოის ეპარქიაში ერთი ორ.კლასიანი სამაგალითო საეკკლესიო-სამრევლო სკოლისა და ორი ერთ-კლასიანის გახსნა. და ამ სასწავლებლებში მოსამსახურე მასწავლებლებისათვის დანიშნა ჯამაგირად 1200 მ. ხსენებულ სასწავლებლებისათვის შენობათა აგება, მოწყობა და სხვა ხარჯი თვითონ საზოგადოებას უნდა მიეღო თავის თავზე. ყოველივე ღონისძიება ვიხმარე ჩემის მხრით, რომ ეს ორ-კლასიანი სამაგალითო საეკკლესიო-სამრევლო სკოლა გახსნილიყო მარტვილში და ამით შემევსო ის ნაკლი, რომელიც მიეცა აქაურებს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მარტვილიდამ სხვა ადგილს გადატანით. ბევრი შრომა და ცდა დაგვჭირდა ჩვენ, რომ ამ ხსენებული სასწავლებლისათვის შესაფერი შენობა აგვეგო. ღვთის შეწევნით ჩვენ უკვე შევასრულეთ ჩვენი წადილი. მადლობას ვსწირავ ყველა იმ ბლაღოჩინებს და მღვდლებს, რომელთაც შემწეობა აღმომიჩინეს მე ამ კეთილ საქმეში. მადლობას ვსწირავ აგრეთვე საერო წოდების ზოგიერთ პირთაც, რომელნიც, შეძლებისა და გვარად, დაგვეხმარენ ამ საქმეში».

«ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს სასწავლებელი საზოგადოების თანაგრძნობით და დახმარებით გაუმჯობესდება და ოდესმე გაუსწორდება იმ სასწავლებელს, რომლის მოკლებას მარტვილი ასე საშინლად სწუხდა და დღესაც სწუხს“.

შემდეგ ყოველად სამღვდელო გრიგორიმ თავისი სიტყვა მიჰმართა ამ ახლად ნაკურთხი სასწავლებლის მასწავლებლებს. მოაგონა მათ ზათი დიდი და მძიმე მოვალეობა. დაწვრილებით განუმარტა მათ, რომ სწავლასთან ერთად მათ უნდა შეათვისებინონ მოსწავლეთა სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა. ბოლოს ყოველად სამღვდელო მიუბრუნდა მოსწავლეთა, რომელთა რიცხვი სკოლის კურთხევის დღეს იყო ასსზე მეტი და მისცა მათ შესაფერი დარიგება. ბოლოს ყოველად სამღვდელომ მიჰმართა სიტყვა იქ დამსწრე საზოგადოებას, რომელსაც პირველად მიულოცა სასწავლებლის კურთხევა და გახსნა და მერე ყველას

მადლობა შესწირა მათი თანაგრძნობისათვის.

შემდეგ ამისა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა რუსულს ენაზედ ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. თ. კ. ბოლოლიუბოვმა, რომელმაც განმარტა სწავლის სარგებლობა და მასწავლებელთა დიდი მოვალეობა. აქვე დასძინა მან, თუ რა დახმარება უნდა აღმოუჩინონ მშობლებმა მასწავლებელთ, თუ ჰსურთ, რომ მათმა შვილებმა რიგიანად შეითვისონ სწავლა.

ბ. ბოლოლიუბოვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა რუსულსავე ენაზე ახლად ნაკურთხი სასწავლებლის მასწავლებელმა ბ. ბობოხიძემ. თავის სიტყვაში ბ. ბობოხიძემ სხვათა შორის მოიხსენია ისტორიული ცნობები მარტვილის მნიშვნელობაზე ძველსა და ეხლანდელს დროში.

ბ. ბობოხიძის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამავე სკოლის მეორე მასწავლებელმა ბ. ს. თათარიშვილმა. აი ეს სიტყვა:

«ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო,
უმოწყალესო მწყემსთ-მთავარო!

დღეიდან ამ ჩვენი სამშობლოის უძველეს დროთა ერთ სახსოვარ ნაშთ, მარტვილის მონასტერთან, დაარსდა სამაგალითო ორ-კლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სკოლა. ეს მოვლენა მეტად სამხიარულო უნდა იყვეს ყველასათვის და, განსაკუთრებით, მარტვილის და მისი ახლო-მახლო მდებარე სოფლების მკვიდრთათვის, რომლებსაც დაახლოვებით შეუძლიათ ისარგებლონ მოხსენებული სკოლის ნაყოფით. საზოგადოდ დაარსება და გამრავლება სკოლებისა სასიამოვნო მოვლენაა, როგორც წინდი სწავლა განათლების გავრცელებისა და ერის კეთილ-დღეობის წინ წაწევისა, მაგრამ უმეტეს სასიამოვნო არის გამრავლება ესრედ წოდებული საეკკლესიო სამრევლო სკოლებისა, რომელთა რაცხვს ეკუთვნის დღეს ნაკურთხი მარტვილის სკოლა და რომელნიც არიან გამავრცელებელნი სასულიერო სწავლა-განათლებისა. ყველამ კარგად ვიცით, რომ სასულიერო სწავლა-განათლება უსაჭიროესია კაცობრიობის ცხოვრებაში, რადგან უმეტესად მასზედ არის დამყარებული კეთილ-დღეობა როგორც მთელის საზოგადოებისა, ისე კერძო პირისა; კაცი, მოკლებული სასულიერო სწავლა-განათლებას, ცუდი შემასრულებელია იმ მაღალი დანიშნულებისა, რომლისათვის არის შექმნილი. ამისათვის თუ კაცი ოდესმე ისურვებს შეიძინოს საზოგადოდ სწავლა-განათლება, უპირველესად უნდა სცდილობდეს მიიღოს და შეითვისოს ზემო ნათქვამი სასულიერო სწავლა.

მარტვილმა, ამ უძველესის დროიდგან შუა წერტილმა, საიდანაც იფინებოდა მთელს სამეგრელოში სწავლა-განათლება და, განსაკუთრებით — სასულიერო, ამ ხანებში ერთობ დაიწია; მისგან სულ მთლად გარდიდო სახელი «სწავლა-განათლების გამავრცელებელი ადგილისა სამეგრელოში". დროიდან მისი მნიშვნელობის დაწევისა დღემდის მარტვილი ვერ შემძლებელი იყო ეკტვირთა არამც თუ მის გარეშემო მდებარე სოფლებისა, თითქმის მის მკვიდრთა პირველ-დასაწყისი სასულიერო სწავლა-განათლება. აქ, ამ შესანიშნავ და დიდებულ მონასტერთან, არ არსებობდა დღემდის, საშვალებათა და მოთავე პირთა უმექონებლობისა გამო საეკკლესიო-სამრევლო სკოლაც.

თქვენ, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, რომელიც გულმოდგინეთ ზრუნავთ თვისს ვრცელ ეპარქიაში სასულიერო განათლების გავრცელებისათვის, არ დასტოვეთ გარეშე თქვენის მწყემსთ-მთავრულის ყურადღებისა, ერთი უძველესი და უმცირესი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი თვისის წარსულით ნაწილი თქვენის ეპარქიისა, მარტვილი.

გარდა მისა, რომ იშუამდგომლეთ ვისდამი წინაშეც ჯერ იყო, შესახებ გახსნისა აქ ამ ორ-კლასიანი სამაგალითო საეკკლესიო-სამრევლო სკოლისა, რომლის შესანახავად გამოითხოვეთ სასულიერო მთავრობისაგან ხარჯი, ამ საქმის განსახორციელებლად თქვენი ხარჯი და შრომაც უზომო გასწიეთ. თქვენი მეუფების საკუთარის მონდომებით და ხარჯით აღშენებულია აწინდელი სასკოლო სახლი და მოპოვებულია მასში საჭირო ნივთები და იმედია, თქვენი მეუფების მფარველობის ქვეშ ეს სკოლა შევა სასურველს წარმატებაში და აღმოუჩენს მოზარდთაობას არა მცირე საშუალებას სასულიერო სწავლა-განათლების მიღებაში. ახალ მოზარდი თაობა, შემძლებელი დღეიდან ამ სკოლაში სასულიერო სწავლა-განათლების მიღებისა, მათი მშობლები და ყველა თანამგრძნობნი სასულიერო სწავლა-განათლების გავრცელებისა უგულითადესს მადლობას გწირავენ და სთხოვენ მაღალ ღმერთს კიდევ მრავალ წელს იცოცხლოს თქვენმა მეუფებამ, ჩვენმა უმოწყალესმა მწყემსთ-მთავარმა, გვასწავლოს და გვაკურთხოს».

ნაშუადღევის პირველს საათზე გათავდა პარაკლისი. ყოვლად სამღვდელომ ლოცვა-კურთხევა გადასცა ყველა იქ დამსწრეთ და ახლად მისალებ მოწაფეებს, რომელთაც სათითაოდ დაურიგა სასულიერო შინაარსის პატარა წიგნაკები.

აზრი და გრძნობა ჭეშმარიტი ქრისტიანისა ახალი წლის დადგომს.

არასფერი არ ხდება ქვეყანაზედ ღვთის უნებურად; ღმერთი ყოველსავე განაგებს, ყველაფერზედ ზრუნავს. იგი აძლევს ქვეყანას წვიმასა, ის უბრძანებს მზესა ანათებდეს როგორც კეთილთა, ისე ცოდვილთათვის. იგი ზრდის ფრინველთა ცისათა და მის უნებურად ერთი თმაც არ ჩამოვარდება თავიდგან. რასაკვირველია, ღვთის უნებურად არც ჩვენ გადავდივართ ახალს წელიწადში. მრავალნი ჩვენნი მახლობელნი განეშორენ ამა ქვეყანასა და ვერ მოაღწიეს ახალ წლამდე. მაგრამ რისთვის ინება უფალმა ერთის დატოვება საცხოვრებლად ამა ქვეყანაზედ და მეორენი კი მიიწოდა საიქიო ცხოვრებისადმი?—ეს მისი სიბრძნის საიდუმლოებაა, რომელსაც ვერ მისწვდება კაცის გონება. არავინ არ იცის ღვთის განგებულების გზანი. ჩვენ მხოლოდ ვიცით და მტკიცედ ვერწმუნებით მართლ მადიდებელ ეკკლესიასთან ერთად, რომ ყოველივე, რაც კი შეგვემთხვევა ჩვენ, ჩვენი სასარგებლოა, ვინაიდგან სრულდება ღვთის ნებით და ღმერთი ყოვლად სახიერია და ზრუნავს თავის ქმნილებათათვის არ ისურვებს. თუმცა მან, ყოვლად სახიერმან ერთს მიანიჭა ცხოვრება ახალი წლისათვის, ეს ინება მისთვის, რომ მას არა სურს სიკვდილი ცოდვილთა, არამედ მოქცევა და მონანება მათი. ან იმისათვის, რომ კეთილთა თესლთა, დათესილთა კაცის გულსა შინა, გამოიღონ ფესვები და მოიტანონ ნაყოფი. ყოველს შემთხვევაშიდ კაცი ვალდებულია იზრუნოს ცხოვნებისათვის და უნაყოფოდ არ დაღუპოს ღვთისაგან მოწყალებით მისდამი მინიჭებული ახალი წლის ცხოვრება.

ჩვენ არ ვიცით, თუ რაისათვის ინება ღმერთმა განგრძობა ჩვენი სიცოცხლისა ისე, როგორც არ ვიცით, თუ რამდენი დრო გვაქვს დანიშნული ცხოვრებისათვის ამ ქვეყანაზედ. ეს უცოდინარობა უფრო უნდა გვაიძულებდეს ჩვენ, რათა ვიზრუნოთ ჩვენს თავზედ და ჩვენს ცხოვნებაზედ. ყოველი გავლილი წელიწადი უნდა მოგვაგონებდეს ჩვენს უკანასკნელს დასასრულს და ამ ქვეყნიდგან გასვლას.

ღვთის უნებურად არ მომხდარან წარსულს წელში ზოგიერთთა სურვილნი, თუ ყველა არა, უმეტესი მაინც აღსრულებულა და ბედნიერად დაგვირგვინებულა, ხოლო მეორეთა სურვილი არ აღსრულებულა და ყოველისფერშიდ გრძნობდნენ ნაკლულევანებას და მწუხარებას. ამ ახალ წელშიც ღმერთი, ცხადია, ერთს აღამაღლებს და ადიდებს, ხოლო მეორეს დაამდაბლებს და შთააგდებს მწუხარებაში. გარნა რაისათვის ექცევა ღმერთი ერთს ასე და მეორეს ისე?—ეს კაცმა არ უწყის. მართლ-მადიდებელი ეკკლესია გვასწავებს ჩვენ, რომ ღმერთი ყოვლად მოწყალეა და წმიდა და ყოველივე ჩვენდამი მოვლენილი მწუხარება და სიხარული გამოწვეულია ჩვენს სასარგებლოდ და ჩვენდა მოსაქცეველად და ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად. ის მოგვანიჭებს ჩვენ მას, რაც ჩვენთვის სასარგებლოა, მაგრამ არასოდეს არ გამოსცდის კაცს იმაზედ მეტად, რისიც ატანა მას არ შეუძლია.

ქრისტიან კაცს, რომელსაც ჰყავს ამისთანა ყოვლად მოწყალე მზრუნველი, მცველი მამა, გაბედულად შეუძლიან გადასდგას ფეხი ახალს წელში, თუმცა მისთვის დაფარულია მისი მომავალი ბედი ახალ წელში. მტკიცე სარწმუნოება ღვთის განგებულებაზედ, რომელიც ყოველსავე მმართავს და განაგებს, შესცვლის თავის ბედის უცოდინარობაზედ შიშს სიხარულად ღმერთზედ, შემომქმედზედ და აღავსებს კაცის გულს სიხარულითა ახალი წლის მინიჭებით გასასწორებლად თავის სი-

ცოცხლისა და მოსამზადებლად ახალი ცხოვრებისათვის.

ესრეთი სასოება დმერთზედ არის მომძრავი ძალა ხალხის ცხოვრებისა. ამ სასოებით სცხოვრებს კაცი. ასე, ჭეშმარიტნო ქრისტიანენნო! მიანდვეთ თქვენი თავი ღვთის ნებას და წარმოსთქვით: «მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, იყოს ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა". ეს სარწმუნოება და სასოება შენ არ შეგარცხვენს; იგი მტკიცეა და შეურყეველი. «ნეტარ არს, როგორც იტყვის წინასწარმეტყველი დავითი, რომლისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისა, და სასოება მისი არს უფლისა მიმართ ღვთისა მისისა.

მღვდლის საიდუმლო.

მ. იოანნეს დიდს პატივს სცემდენ იმ მაზრის ქალაქის მცხოვრებნი, სადაც ის იყო მღვდლად და სჯულის მასწავლებლად. მ. იოანნე იყო მორჩილი მსახური ღვთისა; მას ჰქონდა ყოველივე ღირსება ქრისტეს მწყემსისა. ცხოვრებაში იყო მორჩილი, უწყინარი და თავის საღმრთო სამსახურში მუყიათი. იმას მომეტებულად უყვარდა თავის ტაძარი, და სცდილობდა მისს შემკობას; ტაძარში შედიოდა ყოველთვის მხიარულად და დიდის მოწიწებით.

მ. იოანნეს მეუღლე იყო კეთილი და პატიოსანი ადამიანი, რომელიც სცდილობდა სახლში დაეცვა წესიერება. როცა მ. იოანნე დაბრუნდებოდა სახლში ტაძრიდამ ანუ სასწავლებლიდამ, მისი მეუღლე ორი პატარა ყმაწვილით შეეგებებოდა ხოლმე ქმარს და იღებდა მისგან ლოცვა-კურთხევას.

ღვთის მადლით მ. იოანნე დიდხანს სცხოვრებდა ბედნიერად. შესანიშნავი იყო მისი კავშირი ხალხთან. მაგრამ ბოლოს მ. იოანნეს ეწია უბედურება. მან გამოსცადა მრავალი ტანჯვა და წვალება.

ერთ ზამთარში, საღამოს ჟამს ხმა გაავრცელდა ერთი მემამულის ი. სიკვდილის შესახებ. ეს მემამულე სცხოვრებდა ერთს ქუჩაში, რომელსაც აზნაურების ქუჩას ეძახდენ. ამ ქუჩაში იდგა რამდენიმე აზნაურის ძველი უბრალო სახლები. ამ სახლებში ზოგიერთი სულ ცარიელები იყვნენ. სახლებს ჰქონდათ დიდი ეზოები და ბაღები. ამ ზემოდ აღნიშნულს ერთს სახლში სცხოვრებდა ხსენებული მემამულე, რომელსაც თავისთან ჰყავდა მარტო ერთი მოხუცებული მოსამსახურე.

ეს მოსამსახურე რიგიანად ვერ აღსრულებდა თავის მოვალეობას; თუმცა მას ხშირად არიგებდენ, რომ უფრო მუყიათად მოჰკიდებოდა თავის მოვალეობას, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა. როცა რამე გაფუჭდებოდა ამ მოსამსახურის უყურადღებობით, ამაზე იგი ორხეინად უპასუხებდა ხოლმე: «რა ვქნა, მე მეტი არ შემიძლია». ერთს დღეს ეს მოსამსახურე აღის დაუკითხავად წავიდა «პივნიაში». ორი საათის შემდეგ იგი დაბრუნდა სახლში. შეავიდა აღის ოთხში, მაგრამ ის შენს მტერს, რაც იმან იქ ნახა. მემამულე ი. ეგდო იატაკზე და მთლად სისხლში იყო მოსვრილი. მოსამსახურე მალე მოვიდა გონზე, წავიდა პოლიციაში და შეატყობინა მთავრობას ყოველივე.

პოლიციის ბოქაული დაუყონებლივ მოვიდა მემამულის ი. სახლში. მან დაათვალიერა გარდაცვალებულის სხეული, დაათვალიერა სისხლის წვეთები, რომლითაც მთლად მოსვრილი იყო სტოლი და სკამები; ბოქაულმა შენიშნა, რომ ოთახის კარები სისხლში მოსვრილი ხელით იყო დაკეტილი.

მან გამოჰკითხა მოსამსახურეს და აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როცა მოსამსახურე სასეირნოდ წასვლას აპირებდა, მემამულის სახლში მისულა

მღვდელი მამა იოანნე, რომელსაც მთელი ქალაქი იცნობდა.

პოლიციის მოსამსახურე მაშინვე გაეშურა მ. იოანნესთან, რომლის სახლი იქვე მახლობლად იყო. იგი მალულად შევიდა მ. იოანნეს სახლის წინა ოთახში; აქ მან ნახა დაკიდებული ანაფორა, რომლის ჯიბიდგან მოსჩანდა სისხლში გასვრილი დანა. ანაფორის კალთებზე მოცხებული იყო სისხლი და ეტყობოდა, რომ სისხლიანი ხელები იყო ანაფორაზე შეწმენდილი. ყოველივე ეს ბოქაულმა საჩქაროდ შენიშნა პატარა ფარნის შემწეობით, რომელიც მას საღამობით თან დაჰქონდა ხოლმე.

შემდეგ ბოქაული შევიდა ზალაში, სადაც მას მოეგება მღვდელი. თუმცა მ. იოანნე ბოქაულს მხიარულად მიეგება, მაგრამ რაღაც აღშფოთებული იყო. როცა ბოქაულმა ჰკითხა მ. იოანნეს, იყო ის თუ არა დღეს მემამულის ი. სახლში, მ. იოანნე მთლად ათრთოლდა; შემდეგ მიუგო, რომ იყო.

— იცით თქვენ, თუ რა შეემთხვა ი. თქვენი ნახვის შემდეგ? ჰკითხა ბოქაულმა მღვდელს.

ამ კითხვამ შეაჩერა მ. იოანნე; მან არ იცოდა, რა ეთქვა. ეთქვა, იყო თუ არა, და თავისთავად იმეორებდა: დიახ, ვიცი, არა... არ ვიცი.

— მერწმუნეთ, მამაო, უთხრა ბოქაულმა მ. იოანნეს, რომ მე დიდად ვაფასებ თქვენს სამსახურს, მაგრამ ჩემი მოვალეობა მაიძულებს ჩვენება ჩამოგართვათ თქვენ და იმედი მაქვს, რომ თქვენი პასუხი მოგაშორებსთ თქვენ ყოველივე ეჭვს...

— აღასრულეთ თქვენი მოვალეობა,—დაბალის ხმით მიუგო მღვდელმა.

— მე მინდა გკითხოთ თქვენ, თუ ვისი ანაფორა ჰკიდია თქვენს წინა ოთახში? რასაკვირველია, თქვენია? და თუ თქვენია, საიდამ აჩნია მას სისხლის ლაქები და ან მის ჯიბეში ვინ ჩასდვა სისხლში მოსვრილი დანა?

როგორ? გაოცებით წამოიძახა მღვდელმა. ეს როგორ შეიძლება! სთქვა თუ არა ეს სიტყვები, მ. იოანნე წამოხტა ფეხზე და გაეშურა წინა ოთახისკენ. მაგრამ ბოქაულმა შეაჩერა იგი, თვითონ აიღო სტოლიდამ სანთელი, და წინ გაუძღვა მ. იოანნეს. ბოქაულმა წინა ოთახში უჩვენა მღვდელს ყოველივე, რაც წინეთ თვითონ შენიშნა, და ბოლოს ჰკითხა: რას მოასწავებს ყოველივე ეს.

მ. იოანნე მთლად დაიკარგა. მან არ იცოდა, საიდამ გაჩნდა მისი ანაფორის ჯიბეში გასისხლიანებული დანა და ან მის ანაფორაზე რა უნდოდა სისხლის ლაქებს, მხოლოდ თავისთვის ლაპარაკობდა: «შენგან არს მხილება ჩემი, უფალო! ვინ წინაღუდგეს მსჯავრსა შენსა? გმაი საყდომელ სიბილწესა შინა შემდებე მე. ხოლო მომიძაგა მე ჩემთანა სამოსელმან ჩემმან (იობ. 9, 31).

პოლიციის ბოქაულმა ადგილობით აღწერა ყოველივე, რაც ნახა მ. იოანნეს სახლში და ან რაც მისგან გაიგონა და წავიდა.

მეორე დღეს მთელი ქალაქი ლაპარაკობდა, რომ ი. სიკვდილი ჰბრალდება მ. იოანნესო. მ. იოანნეს გულითად მეგობრებს არ სჯეროდათ ეს ხმები. მრავალი ჰკვირობდა, თუ ამისთანა პატიოსან პირზე როგორ აილეს ეჭვი და ზოგი იმას ჰკვირობდა, თუ აქამომდე რატომ ამისთანა არასფერი შეუნიშნავთ მ. იოანნესთვის.

მ. იოანნემ ღამის უმეტესი ნაწილი გაატარა ლოცვაში და დილით ჩაეძინა. უეცრად შემოესმა კარების რახუნი. როცა ქვეშსაგებიდგან ადგა და კარი გააღო, დაინახა თავის მტირალე მეუღლე. ცოლი სთხოვდა მ. იოანნეს, რომ ეამბნა მისთვის, თუ რა შეემთხვა მას გუშინ.

მ. იოანნემ ხელით ანიშნა ცოლს, რომ იგი მოშორებოდა მას და ზურგი შეაქცია.

— ნუ მკითხავ, უპასუხა მამა იოანნემ ცოლს: არ გაბედო მაგის კითხვა.

— როგორ არ უნდა გკითხო? მიუგო ცოლმა. ამდენი ხანი საყვარელი ცოლ-ქმარი ვიყავით და ბედნიერებად მიმაჩნდა შენი სამსახური. და უეცრად მესმის, რომ მთელი ქალაქი ი—ის სიკვდილს შენ გაბრალებს! ამ სიტყვების შემდეგ ცოლმა ტირილი დაიწყო.

— როგორ არ უნდა ვიცოდე მე—დამნაშავე ხარ შენ თუ არა? დაიწყო ცოლმა. მე დედა ვარ შენი შვილებისა. როცა ისინი გაიზრდებიან და მკით-

ჩვენ, მამა იმათი მართლა დამნაშავე იყო, თუ არა, რა უნდა მიუგო მათ?

ამ სიტყვებზე ქალმა ხელახლად მორთო ტირილი.

შვილების მოგონებაზე მ. იოანნემაც კი დაიწყო ტირილი, მაგრამ მერე თავი შეიმაგრა, გასწორდა, ჩაიკრა ხელი გულში და სთქვა:

— ჩემს შვილებს, როცა ისინი გაიზრდებიან, უთხარი, რომ მამა იმათი იყო პატიოსანი, რომ მას არასოდეს არა თუ კაცის სისხლით, არამედ რაიმე უკანონო შეძენითაც არ შეუბღალავს თავის ხელები.

— მაშ შენ შეგიძლია თავი გაიმართლო მხილებისაგან, შეგიძლია ახსნა ის გარემოებანი, რომელნიც შენზე ეჭვსა სდებენ?

აქ მ. იოანნეს მეუღლეს სახეში ჰქონდა გასისხლიანებული დანა, რომელიც იპოვეს მისი ქმრის ანაფორის ჯიბეში და სისხლის ლაქები ანაფორაზე.

— არ შემიძლია, დაბალის ხმით და თავ ჩაღუნულმა მიუგო მ. იოანნემ: საჭირო არ არის განმარტება, თავის გამართლება არ შემიძლია. უფალმა, რომელსაც მე ვემსახურები, როგორც მონა, დასდო საცო ბაგესა ჩემსა, დასდუმნა ენა ჩემი და თვითონ მამხილებს მე. განა შემიძლია წინა აღუდგე მას, და რომ წინა აღუდგე, მაშინ ხომ მოვაკლდები უკანასკნელს იმედს—მისგან განმართლებას?

ამავე დღეს მ. იოანნე, როგორც გამოძიებასა ქვეშე მყოფი, დააპატიმრეს სახლში. მას სახლიდამ გამოსვლის ნება არა ჰქონდა.

ცოლის უიმედო მწუხარებამ და შვილების ტირილმა შეარყიეს მ. იოანნე...

მესამე დღეს იმ უბედური საღამოს შემდეგ მ. იოანნემ დაუძახა ცოლს თავის ოთახში და უთხრა მას:

ახლავე გაეშურე გუბერნიის ქალაქში. გამოეცხადე მღვდელ-მთავარს და შეაბრალე ჩვენი შვილები. მიართვი მას საკუთარს ხელში ეს ჩემი წერილი. შენს გარდა ვერავის ვერ ვანდობ ამ წერილს. აქ არის საიდუმლო, რომლის გახსნა შემიძლია მხოლოდ მღვდელ-მთავრისათვის. გაფიცებ ღმერთს, რომ ცნობის მოყვარეობამ არ გაგიტაცოს და როგორც ეს წერილი ისე ამის პასუხი არ გახსნა.

ორი დღის მოგზაურობის შემდეგ მ. იოანნეს ცოლი მივიდა გუბერნიის ქალაქში. გამოეცხადა მღვდელ-მთავარს და მიართვა მას წერილი. მღვდელ-მთავარმა პირველად წაიკითხა წერილი და შემდეგ მოისმინა მ. იოანნეს მეუღლის თხოვნა შვილების შესახებ.

მღვდელ-მთავარი მოიჭუხა და თვალებიდამ ცრემლები წამოუვიდა. შებრუნდა ოთახში, რომ მ. იოანნესათვის პასუხი მიეწერა და რამდენიმე წამის შემდეგ უკანვე დაბრუნდა და გადასცა მთხოვნელს დაბეჭდილი კონვერტი. ამასთანავე მღვდელ-მთავარმა მთხოვნელს მისცა დარიგება და გაამხნევა, თუ რაიმე უბედურება ეწვეოდათ მათ. ბოლოს გარდასცა მას ლოცვა-კურთხევა და შემდეგი დარიგება მისცა:

— უბედურების დროს გამოიჩინე სიმარჯვე, რომ შენ ღირსი იყავი მღვდლის ცოლობისა.

მ. იოანნემ ხელების კანკალით ჩამოართვა ცოლს მღვდელ-მთავრის კონვერტი და, როცა გახსნა, მასში ნახა თავისი საკუთარი წერილი მღვდელ-მთავრის შემდეგი რეზოლიუციით: «ღირსად საყვარელო მ. იოანნევ! შენ ნუ სწუხარ შენი ოჯახისათვის. ჩემს უკანასკნელს ლუკმას გაუზიარებ მე შენს ოჯახობას. შენ კი ღვთაებრივი მწყემსთ-მთავრის იესო ქრისტესაგან მოგენიჭება მოწამის გვირგვინი ღვთის საქმისათვის. მიიღე ეს საჩუქარი სიხარულით, ვინაიდგინ იგი არის წინდი საუკუნო ცხოვრებისა და საუკუნო დიდებისა. მიხარია, რომ უფალმა ღირს გჰყო შენ ეწამო, მსგავსად მაცხოვრისა.

(შემდეგი იქნება).

საისტორიო მასალა.

გუჯრები

(გაგრძელება*).

ტონჩას ღვდელს ერთს დღეს მასპინძლობა, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრეთვე მათი ცოლები რომ მოკვდენ რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

ბენესმანს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრეევ მათი ცოლებისა რაც შეეძლოსთ საწირავი მიართონ. საკანონო როგორც ზეეით დაგვეწეროს, ისე გამოართვეთ.

ბაშას ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი. სოფელს ერთს დღეს ჩაყენება, დრამა კომლზედ პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელენი საწირავი ცხენი შეკაზმული; აგრეევ მათი მეუღლენი თუ მოკვდენ, რაც შეეძლოსთ საწირავი მიართონ თუ საკანონო იყოს რამე, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვეთ.

ლუდურის შვილები. სახლის უფროსი ან მოხელე თუ მოკვდეს ერთი ნიშანი რაც იყოს. ცხენი შეკაზმული, ერთი გარდასახური წილკნელს მიართონ, აგრეთვე მათის მეუღლისა საწირავი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი ბეჭედი მიართონ.

ჭინკანი არაგვს გაღმა ესახლა. რახან არაგვის გაღმა ესახლა ბატონის კათოლიკოზის სამწყსო არის ჭამთა ვითარებისაგან და ავის დროსაგან არაგვის გაღმა დასახლდა წილკნელის სამწყსოში ჩვენ და ბატონ კათოლიკოზს ცილობა და ლაპარაკი შეგვექნა სამართალში. წილკნის ღვთის მშობლისა იყო წილკნელმა რომანოზ ბატონს კათოლიკოზს თავი აღარ აწყვინა, დავანებეთ და წილკნელის მამამთავრებს ყინკანთან ხელი არა აქვსთ.—ეს გუჯარიც მაშინ დაიწერა.

ანანურს ზევით ძევს გარდა—ისე წილკნელს. ათორმეტაგანის მოქცეული არის. რა ხან წმინდის აბაზის შვილნი შექნალიყენენ იმათი ეფისკოპოზი ვინცაევინ წილკნელი ყოფილან იმათი სამწყსო ყოფილა მცირედ მცირედ ქრისტიანობა შამოუგდიათ ხუცესი და დიაკონი დაუდგინებიათ წმინდის ნათლისღების შვილობა გამრავლებულა არაგვის ერისთავი არაევინ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავათ თვინიერ შაბურაშვილის მეტი, იმას ჭერია დაბალი საერისთაო ანანურს ზევით მთიულეთს, წილკნელისა არა ედვა—რა. ჩვენ ფრიად ცოდვილმან და ყოველთა კაცთა უნარჩევესმან წილკნელ ეფისკოპოზმან რომანოზ გვიბძანა არაგვის ერისთავმან ზაალ დამწყსა და კეთილათ გარჯულვა. ჩვენც არ უდებ ვიქმენით ბრძანებასა მწყემს მთავრისასა, რომელმან ბრძანა წარვედით და მოიმოწაფენით. და შემდგომი ამის წარვედით და შეუდეგით კვალსა ისე მამად მთავრისასა და მივედით მთიულეთსა მცირე რამ ქრისტიანობა იყო და არც ხუცესი, არც ქრისტიანობა და არც ნათლის ღების შვილობა მართ [1]) არ ეწოდებოდა, ისევ კერპის ბზგავსი იყვნენ. არც მართალი ნათლის ღება იცოდნენ, აღსარება სრულიად არ იცოდნენ, არც მარხვა იცოდნენ, თვინიერ დიდ მარხვის მეტი. ფრიადითა ჭირითა ვაღვაწე ზოგი ერისთვის ძალი მქონდა შემწეთ. [2]) ზოგი ნებით მიიცნენ. აღსარება ემბაზით ნათელა გავაჩინეთ, წმინდას ზიარებას ერის კაცს მისცემდა სადმე ღვდელი და ერის კაცი სადმე აზიარებდა. ესეც ამოვკვეთეთ. ერის კაცს ღვდელი საიდუმლოს არ მისცემს—თითონ ღვდელმა უნდა აზიაროს ერის კაცი. ჩვენ რომანოზ წილკნელი ზაალ ერისთვის დროს მთიულეთში სამჯეო ეყოფილვარ, [3]) საყდრები ვაკურთხეთ იქაურს ღვდელს სახუცო თითო ფური დავდევით ერისთავმა და ჩვენ სახუცო დაყოფილი არ აქვთ იქაურს ღვდელს. ორი ღვდელისა, ორს ფურს მოქცემდენ—ერთია ერისა. ათი ღვდელი რომ გაჩნ

*) იხ. «მწყემსი» № 1 1891 წ.

[1]) მართ.

[2]) რამდენიმე სიტყვა ასო ნაკლებად იწერება: შმწე (=შემწე) შამმთავრებს (მამამთავრებს) და სხვ.

[3]) სკენ. «ვეოფვალვართ» და არა «ვეოფილვარ».

დეს მთიულეთში სახუცო ათი ფური გამოართვით. ჩემობას ორი ხუცესი იყო იქაურს ხუცესს მამამთავრისა არ ედვათ რა, არც ერისკაცზედ დრამა ედვათ, არც ეფისკოპოზის წირვა თუ თვისის ნებით არ უნდოდათ. ახალი მოქცეული იყვნენ იმიტომ ვერა საეფისკოპოზო გამოსაღები ვერა დავადეთ რა. ვინც ჩვენ შემდგომად წილკნელი ბრძანდებოდეთ ეცადეთ კეთილად მოქცევასა და სწავლა და სარწმუნოება განამრავლეთ, ეკლესიის და ეფისკოპოზის სამსახური ისწავეთ, თორემ ღმერთი ეფისკოპოზის ხელით გამოიძიებს თავის სამწყოსს საქმეს ასე ბრძანებს სახარებასა შინა ასწავებდით და მოძღვრებით თქვენცა ამცენით ერთხელ—ორჯელ და ბევრის გზისაც და ვინც თქვენი სიტყვა არ შეიწყნაროს, განიყარეთ მტვერი ფერხთა თქვენთაგან და უბრალო იქნებით. ნინოს მოქცეული ყოფილა, მესუკან იქ წილკნელი ყოფილა. ძველს გუჯარში საეფისკოპოზო სათხოვარი, არა სახუცო, არა დრამა არ ეწერა, არც ჩვენ დავადეთ.

ქსანზედ ირტოზას კარინთები. თუ სახლის უფროსი კაცი ან დედაკაცი მოკვდეს კაცზედ მთელი ნიშანი—ცხენი შეკაზმული. ორი წასახურავი, ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრეთვე დედაკაცზედ საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლოომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი ორი, წასახურავი წილკნელს მიართონ. თუ სახლის უმცროსი მოკვდეს ან უცოლო, ან მეუღლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახურავი, მიართონ. ირტოზელს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა ერთი შელო [1]) ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი ცხენი შეკაზმული აგრეთვე მათის ცოლები, რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო თუ რამ იყოს, რაც ზევით ეწეროს, ის გამოართვით.

ოძისს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა. კომლზედ დრამა შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს – საწირავი ცხენი შეკაზმული, სოფლის მოხელესაც აგრეთვე მათის ცოლების რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.

[1]) შელო – ნასთის ბოკული (ს. ს. ორბელიანის ასსნა)

თაეღორაშვილებს იმათს ცოლებს საწირავი აძეეთ. დრამა არ აძეეთ. საკანონო თუ რამ იყო, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით. მოხელეთ განწესება.

ხოფას წინამძღვარი ვინც იჯდეს, თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული, ნიშანი წილკნელს მიართონ. ომფორის [1]) მელარეს ჯვარის მჭირავი აბაზი ღვთაებას კურთხევაზე.

ახალ გორს დეკანოზს ერთს დღეს ჩაყენება ხარი და მარჩილი. ქართველს კაცს თითო ძღვენი, მსახურს საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრეეე იმათი მეუღლის ერთი საწირავი დრამა კომლზედ თითო შელო, ქერი ლიტრა ერთი. საკანონო თუ რამ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით. სომხები. მაგისთანა კაცი თითო ძღვენს მიართმევს და თითოს შაურს.

ახალს სოფელს, ერთს დღეს იმათი მეუღლიე დრამა მასპინძლობა, სახუცო ხარი, ერთი მარჩილი ერთი მსახური თუ მოკვდეს ან მოხელე სოფლისა საწირავი ცხენი შეკაზმული, კომლზედ დრამა შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი, საკანონო თუ რამ იყოს რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ეკოთს ფიცხელაურები სახლის უფროსნი კაცნი ან მოხელენი თუ მოკვდენ ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი შეკაზმული ცხენი, ორი წასახურავი ერთი წილკნელისა, ერთი თვისი. სუფრის იარაღი და თასი. აგრეთვე იმათი მეუღლისა საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლოომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი მთლად ორი წასახურავი – ცხენი წილკნელს უნდა მიართონ. თუ სახლის უმცროსი ან უცოლო მოკვდეს ან მეუღლენი მათნი ერთი საწირავი და ერთი წასახურავი მიართონ. ღვდელმა ერთს დღეს მასპინძლობა. ხარი და ცხვარი სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მამამთავარს და მსახურს ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული. აგრეეე იმათი ცოლების საწირავი რაც შეეძლოთ. საკანონო თუ რამ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ქარიანთის ღვდელსა და სოფელს ერთს დღეს მეუღლის ერთი საწირავი. საკანონო თუ რამ ჩაყენება, სახუცო ნახევარი ხარი, დრამა კომლზედ შელო ერთი, ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ მოკვდეს ან სოფლის მოხელე საწირავი... იმათი

[1]) სიტყვიდან «ომფორის»... სხვა ს�ითარის მოწერილი. შელანიც მჭრელია.

იყოს (როგორც ზეით დაგეწეროს, ისე გამოარ-
თვით). [1] . . . . . .

შენიშვნა. ამ უკანასკნელი სიტყვებით თავდება ეს ფრიად საინტერესო გუჯარი. სამწუხაროდ მას ორ-ვე "კლია და ბოლოც. "ბ" უნდა ეოფილიეუო. შეტაო გმელი და ოაკის შანაარსით ერთის მხრივ შეგვიძლებდა «დასტურლიმალს». ეს გუჯარი დაწერილებით ძოგვ თხრობის წიგნეულის უმუბის გარდასახდ, როგორც «დასტურლიმალი» სამეფო და სადელოფლო კლესებზედ. ეურადიელი ენაც კი ამ ორივე ძვირფასი ნიშთასი მეტად წაგვს ერთმანეთს. გარდა ამისა, ეს გუჯარი საუურადღებოა ქრისტიანობის გავრცელების ისტორიისთვის ჩვენ მთიულ ხალხებშ. ზაალ არაგვ ერისთვის დროს და რომანოზის წოლგნელობაში მაინა ჯერ კიდევ კერშები ეოფილან, ისტორია იქ ქრისტიანობის შეტანის ფრიად საინტერესო და ძვირფასი ნაწილია ამ გუჯრისა.

აქ ჩამოთვლილი სოფლები ჯაგრაშენი, თელოგანი და სხვ. მოიხსენებიან ვახუშტის გეოგრაფიაში. (სახე appendix I-re liste des viflaqes du kartlei ex du cakhexh) საკვირველია არ დაგინახეთ სათითოთ მოგვეგონა ამოწერილი ტნობები, ჩვენი ბატონიშვილის გეოგრაფიიდამ, რადგან სახელების მეტს თითქმის სხვა ტნობა არ იძლევა გუჯარში მოხსენებული სოფლების შესახებ.

დამტკიცებით ვერ კიტყვით, რა დროს უნდა მბეთონოდეს ეს გუჯარ. დასკვნებით კი შეგვიძლიან დასვეთ თარიღი, რომელიც, სამწუხაროდ, აკლია ამ გუჯარს, რადგან ბოლო მოკლეულია აქვ. გუჯარში იხსენება «ბატონიშვილი კათალიკოზი დომენტი». სამა კათალიკოზი გუვანდა სახელოზოებული «დომენტად». პირველი დომენტი 1520 წ. მის დროს ტფილისი აიღო შაჰ ისმაილმა. ეს დომენტი ბატონიშვილი არ იყო. მეორე, ძე ქაიხოსროსი, ქართლის მართთველისა იყო კათალიკოზად მე-XVII საუკ. იგი იხსენიება რამდენსამე გუჯარში 1671 წლამდის (цер. гуд. стр. 110). ამ დომეხტი ბატონიშვილის დროს ვიცით ზაალ არაგვის ერისთავს, რომელიც მოიკლა თავის ძმისწულისაგან 1660 წ. ეს ის ზაალი უნდა ეოფილიეუო, რომელიც რომანოზ წოლგნელს შეეღოდა ჩვენი გუჯრის მოწმობით ქრისტიანობის გავრცელებას მათში. ამაგვ რომანოზს უბრძანა კათალიკოზმა დომენტიმ შეედგინა ახალი გუჯარ, რადგანც წინგნელმა დაჭკარგა იგი ქსანში. აი ეს ორი ისტორიული პირი გვაძლევს საბუთს მიგაწეროთ ეს გუჯარი მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარს.

(ზაალ ერისთავზე ნახე «ქართლის ცხოვრება» გვ. 46 და შემ.) რაც შეეხება მესამე დომენტის იგი იწოდებოდა ტფილისის ბელოზინასად, ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკ. და არ ეკუთვნოდა ბატონიშვილებს. ამ დროს «ქართ. ცხოვრებამ» არ იცის ზაალ არაგვის ერისთავი). ჩვენ მოსაზრებით აქ მოხსენებული დომენტი უნდა იყვეს მეორე დომენტი კათალიკოზი ჩამოძველობით ბატონიშვილი ქაიხოსროდამ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

7 ამა თვისას ულმობელმა სიკვდილმა იმსხვერპლა ქუთაისის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე გიორგი მელიტონის ძე მიქელაძე. განსვენებული შესანიშნავი იყო თავისი სამაგალითო ყოფა-ქცევით, ხასიათით და მიმართულებით. იგი ძვირად აფასებდა დროს და ამიტომ ერთ წამსაც არ კარგავდა უბრალოდ. თავის პირდაპირი მოვალეობის გარდა განსვენებული დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულს ლიტერატურას. განსვენებულის გვამი ქუთაისიდგან მიასვენეს სოფელს ცილორს. დასაფლავების დღეს განსვენებულს წესი აუკო გურიის სამეგრელოს ეპისკოპოსმა ბრიგორიმ. გრძნობიარე წესის შესრულების შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მიცვალებულზედ, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება.

* * *

30 დეკ. 1890 წ. გამოვიდა უწმიდესი სინოდის უქაზი, რომლის ძალით ერთკლასიან სამრეველო სკოლაში მასწავლებლობის უფლების მისაღებად ეგზამენი უნდა დაიჭიროან მსურველებმა სასულიერო სემინარიის, ანუ სასულიერო სასწავლებლის პედაგოგიურს კრებაში.

* * *

თბილისის ერთი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ახლად აღრჩეულმა სტაროსტამ გადმოგვცა ჩვენ შემდეგი მშვენიერი აზრი: «ზოგიერთს აქაურს მართლ-მადიდებელს ეკკლესიებში ქირაობენ მგალობლებს და თითეში 25 მანეთს აძლევენ. ზოგან ეს დაქირავებული მგალობლები მარტო რუსულად გალობენ, როდესაც მლოცველთ ჰსურთ ქართული გალობის მოსმენა. ამიტომ ჩემი აზრია, რომ ასეთ მგალობლებად მოწეეულნი იქმნენ ყველგან, სადაც კი საჭიროა, სემინარიის მოწაფენი, რომელთაც შეუძლიათ რუსულად და ქართულად გალობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სემინარიელები თითეში 15 მანეთად იგალობებენ".

ღმერთმა ჰქნას, რომ ამ სტაროსტის აზრი განხორციელებულიყოს.

სოფლის ვარდიგორის მაცხოვრის ეკკლესიის კრებული და მრევლი გულითად მადლობას სწირავენ გლეხს ვასილ პეტრეს ძეს შეყრილაძეს, რომელსაც ხსენებული ეკკლესიისათვის შეუწირავს ორი ბაირახი, ღირებული ოც-და-ხუთ მანეთად.

* * *

დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაწყობლად ჩვენ მივიღეთ კიცხის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის გიორგი ანთაძისაგან 8 მანეთი და 50 კ., რომელიც შემოსწირეს შემდეგ პირებმა: პავლე ნიკოლოზის ძემ მაჭავარიანმა 1 მ., ამისმა მეუღლამ მართა კლდიაშვილის ასულმა 1 მ., კონსტანტინე უზნაძემ 1 მ., ალექსანდრე ანთაძემ 1 მ., ზურაბ მდინარაძემ 1 მ., იოსებ ლევანისძემ მაჭავარიანმა 60 კ., ჩიტო მაჭავარიანმა 60 კ., დავით ბეჟანის ძე მაჭავარიანმა 60 კ., სტაროსტა ალმასხან კვაშილავამ 60 კ., როსაფა მდინარაძემ 60 კ. და თედორე ჯიმშიაშვილმა 50 კ.

წინეთ იყო შემოსული . . . 280 მ. 43 კ.

ქეხლანდელი შემოსული ფულით იქნება 288 მ. 93 კ.

* * *

კიცხის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის გიორგი ანთაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი ჟურნალის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო ჩემის მხრით ბ. პავლე ნიკოლოზის ძეს მაჭავარიანს და ვასილ იოანეს ძეს ზვიადაძეს, რომელთაც რწმუნებულ ჩემდამო ეკკლესიას შესწირეს: პირველმა თანაარსი ოქროში დაფერილი, რომელზედაც არის გამოხატული მშვენიერის ხელოვნებით ქრისტეს აღდგომა, ღირებული 6 მანეთად, ხოლო მეორემ—ღვთისმშობლის ხატი, მოოქროვილი, ღირებული 20 მანეთად.

აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნი ზემო ხსენებულ ბ. პავლე მაჭავარიანს, კირილე დიმიტრის ძე მაჭავარიანს, კონსტანტინე უზნაძეს, ტიმოთე აკალიშვილს, დავით ზერაძეს, სტაროსტა ალმასხან გვალიშვილს და ეკკლესიის უხუცესს თედორე ჯიმშიაშვილს, რომელთაც დასდვეს დიდი შრომა და ღვაწლი ერთად ჩემთან ეკკლესიასთან სამრეკლოს სკოლის გახსნაზედ».

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზედ.

სიტყვა

აღზრდისათვის შვილთა,

თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.

> მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ გაზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა. (ეფეს. ვ. დ).

თვით ამ სიტყვებითგან ჰსჩანს, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, რა საგანზედ განვიზრახეთ დღეს უბნობა თქვენთანა. აწინდელი სიტყვა ჩვენი თქვენთან იქმნება მას ზედა, თუ ვითარ უნდა ზრდიდენ მშობელნი ქრისტიანენი მცირე წლოვანთა შვილთა თვისთა. ვგონებ, რომ თქვენც ჰგრძნობთ, რა დიდი საგანი არის ეს და რა სახით არის საჭირო, რომ ქრისტიანე ხშირად ჰფიქრობდეს მას ზედა. პირველთა ცნობათა და ჩვეულებათა, რომელთა მიიღებს მცირე წლოვანი ყრმა სახლსა შინა მამისა თვისისა, პირველთა მაგალითთა, რომელთა იგი ჰხედავს გარემოს თვისსა, აქვსთ უდიდესი მნიშვნელობა მთელსა მისსა სიცოცხლესა შინა. ყოველი მომავალი ცხოვრება მცირე წლოვანისა ყრმისა, მისი ყოფაქცევა, მისი ხასიათი და ერთის მხრით, თითქმის, სულის ცხოვნებაც დამოკიდებული არის მას ზედა, თუ რა სახით გაიზარდა იგი, რა შეაგონეს და რა ასწავლეს მას და რას მიაჩვიეს იგი მშობელთა სიყმაწვილეშივე.

ამ ჭეშმარიტებას თითქმის კარგად ჰგრძნობენ ყოველნი, ჩვენს ქვეყანასა, იმერეთსა, შინა მცხოვრებნი. ვინც კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის ჩვეულებას, მან კარგად იცის, რომ თითქმის ყოველთა მცხოვრებთა და მეტადრე კეთილ-შობილთა კარგად ესმისთ, რა დიდი საქმე არის შვილე ის

გაზრდა ზრდილობა დიდი სიტყვა არის ჩვენს ქვეყანაში; კარგს გაზრდილს კაცს ყოველგან ჩვენში დიდი ქება აქვს; ამისთვის მშობელნი ძლიერ ჰფიქრობენ და ადრითგანვე შეუდგებიან შვილების აღზრდასა. გარნა რა სახით ზრდიან ჩვენში მშობელნი შვილთა? როგორ ესმისთ მათ ეს საქმე? რას უფრო ასწავლიან და მიაჩვევენ თვისთა შვილთა? ამაზედ საჭირო არის წინაპირველად ვსთქვათ ორიოდე სიტყვა.

ჩვენს ქვეყანაში ამ საგანზე დამყარებული არის ძველითგანვე ერთი ჩვეულება. აქ ყოველთა მცხოვრებთა, და მეტადრე კეთილ-შობილთა, შვილების გაზრდაში ბეჯითი ყურადღება მიქცეული აქვსთ მხოლოდ ერთს კერძოზე. იგინი ყოველთვის ამ საქმეში მხოლოდ ამას სცდილობენ, რომ თვისთა შვილთა ასწავლონ მოსაწონი მიხვრა-მოხვრა, კარგი სიტყვა-პასუხის მიცემა, თავაზიანად ლაპარაკი და მოქცევა. ჩვენში კარგად გაზრდილი ყრმა ის არის, რომელმან ისწავლა კარგად თავის დაკვრა, კარგად შესვლა და გამოსვლა, სტუმრებთან დგომა და ჯდომა, შესაფერი ზრდილობიანი ლაპარაკი და პასუხის-გება, ერთი სიტყვით, რომელიც არის კარგი დარბაისელი, ამას ეძახიან ჩვენში გაზრდას! და მართლა ამ კერძოით დიდი წარმატება აქვს ჩვენს ქვეყანაში გაზრდას. აქ უკანასკნელი გლეხის კაცის შვილიც კი გაგაკვირვებს თვისი თავაზიანობით, და ზრდილობით, ხოლო კეთილ-შობილნი, რასაკვირველია, უმეტესად.

გარნა, ძმანო ჩემნო საყვარელნო, თვით თქვენ არა ჰგრძნობთ, რომ ეს არის მხოლოდ ერთი და თვით უმცირესი კერძო შვილის გამოზრდისა? ესრეთი გარეგანი ზრდილობა და დარბაისლობა მხოლოდ მაშინ არის მოსაწონი და საქები, როდესაც იგი შეერთდება სულიერსა, შინაგანსა ზრდილობასათანა, ე. ი., გულისა და სულის სიკეთესთანა. უმთავრესი საქმე შვილის გამოზრდაში ის არის, ძმაო, რომ შენს ბავშვს გული გაუკეთო, ხასიათი გაუსწორო. თუ კეთილი, შინაგანი ხასიათი გაუჩნდება შენს შვილს, მაშინ გარეგანი ზრდილობა თავის თავად მოუვა, როდესაც წმიდა მოციქული პავლე შეაგონებს მამათა: *განზარდენით შვილნი თქვენნი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა*, ამით იმას კი არ გეტყვის იგი, რომ შენს შვილს მხოლოდ დარბაისლობა და თავაზიანობა ასწავლო, არამედ გასწავლის, რათა მის გულ'ში დანერგო ქრისტიანული შინაგანი სახიერება. იგივე წმ. მოციქული პავლე მისწერს ტიმოთეს: *ხორციელი წვრთნილება წუთ-ერთ-რამ სარგებელ არს; ხოლო ღვთის-მსახურება ყოვლითურთ სარგებელ არს, რამეთუ აღთქმა აქვს ცხოვრებისა აწინდელისა და მერმისა* (ტიმ. დ, ჱ); ე. ი., გარეგანი ზრდილობა მხოლოდ ამ ქვეყნისათვის არის სასარგებლო, ხოლო ღვთის მსახურება, რომელიც დამოკიდებული არის შინაგანსა კეთილსა ხასიათსა ზედა, ამ ქვეყანაშიც სასარგებლო არის და მერმისა საუკუნოისა ცხოვრებისათვისცა.

მაშასადამე, რა სახით უნდა გამოზრდიდენ მშობელნი მათნი და რა უნდა ასწავლონ მათ? თუ გსურს, ძმაო, რომ შენი შვილი გამოვიდეს კეთილი და ბედნიერი კაცი, ორი საქმე ასწავლე მას, ორი თვისება დანერგე მის გულში. პირველად ეცადე, რაც შეგიძლია, რომ შენს შვილს შეაყვარო სიმართლე, მიაჩვიო გულ-წრფელობას. პირველი და უწინარესი ყოველთა ცოდვა, რომელიც გაჩნდება მცირე წლოვანის გულში, არის სიცრუე, მოტყუება, მზაკვარება. თუ არ ეცადე და არ აღმოფხვერი მისი გულისაგან ეს ცოდვა, იგი გარდაექცევა მას ჩვეულებად და შეიქმნება წყაროდ ყოველთა მისთა მომავალთა ცოდვათა.

მეორედ, ეცადე და ყოველი ღონის-ძიება იხმარე, რომ შენი შვილი მიეჩვიოს ყოველ საქმეში ბეჯითობას, ე. ი., ყოველი თვისი საქმე აღასრულოს ხალისით და კეთილ-სინიდისით ბოლომდის მიიყვანოს. ამისი სწავლა ერთობ საჭირო არის, ძმაო ჩემო! ჩვენ ყოველთა, ამ ქვეყანაში მცხოვრებთა, ერთი დიდი ნაკლულევანება გვაქვს, ე. ი., დაუდევნელობა. დაუდევნელობა ის არის, როდესაც კაცი თვისს საქმეს, თვისს მოვალეობას არ ასრულებს ბეჯითად და კეთილ-სინიდისითა. დიდი ცოდვა არის, ძმანო, დაუდევნელობა! თუ კი კაცს რომლისამე საქმის კარგად გაკეთება შეუძლია და არ მოინდომებს, და ცუდად აკეთებს, იგი არის კაცი საწყალი და საცოდავი. ჩვენ, ამ ქვეყანასა შინა მცხოვრებთა, ღმერთმან არ მოგვაკლო არცა ნიჭი, არცა ღონე; თითქმის ყოვლისა საქმისა შეგვიძლია სწავლა და გაკეთება; გარნა ვართ დაუდევნელნი, გვაკლია ბეჯითობა, ხშირად ვართ აღტაცებულნი და წარტაცებულნი სოფლის ამაოებით; თითქმის ყო-

ველს საქმეს დავიწყებთ მხურვალედ და ბეჯითად, გარნა მალე დაველონდებით და ბოლოამდის საქმეს ვერ მივიყვანთ წარმატებით. ეცადე, ძმაო, რომ შენი შვილიც არ გამოვიდეს ამ ხასიათისა, არამედ იყოს ყოველს საქმეში მტკიცე და ბეჯითი.

და ესრედ, ძმანო, ჩემნო, ვგონებ, რომ ორთა ამა თვისებათა ზედა, ე. ი., სიმართლეა და ბეჯითობასა ზედა უნდა იყოს დაფუძნებული გამოზრდა შვილთა. იგინივე არიან საფუძველნი ვითარცა ამ სოფლის ცხოვრებისა, ეგრეთვე მომავალის სოფლის ცხოვნების მოპოვნებისა. კაცი ცრუ და მზაკვარი ვერც ამ ქვეყანაში იქმნება ქებული და წარმატებული, ვერცა სასუფეველსა ღვთისათა დაიმკვიდრებს. აგრეთვე კაცი დაუდევნელი, მოკლებული ბეჯითობათა და ხასიათის სიმტკიცეთა ვერც ამ ქვეყანაში ბედნიერს ცხოვრებას გაატარებს და ვერცა მომავალის ცხოვრებისათვის იქმნება მომზადებული.

დასასრულ ისიც უნდა დაუმატოთ, ძმანო ჩემნო, რომელ შვილები მცირე წლოვანნი ისე სიტყვიერის დარიგებით ვერა რას ისწავლიან, როგორც მაგალითით. ამისთვის თუ მშობელნი არ აძლევენ მათ კეთილსა სახესა, ძნელად შეიძლება, რომ იგინი კარგნი გამოვიდენ. ეს უმეტესად უნდა ახსოვდესთ ყოველთა მშობელთა.—ამინ.

სიტყვა,

თქმული ოგოლად სამღვდელო კრებიერასგან გიორგი მელიტონის ძის მიქელაძის დასაფლავების დროს.

> იღვიძებდით უკვე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ყამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს (მათ. 28, 13).

თითქმის ყოველი კაცის გარდაცვალება ამიერ სოფლით გვამწუხარებს ჩვენ, გვაძრწუნებს, ჰბადავს ჩვენში უბედურ ფიქრებს. ყოველი მიცვალებულის დანახვა თავ-ზარსა გვცემს, გვაშფოთებს, გულსა სწყლავს, აღვიძებს ჩვენში თანაგრძნობას და სიბრალულს მიცვალებულისადმი და გვყოფს თვალ-ცრემლიანად.

ეს ხომ ასრეა, მაგრამ განსაკუთრებით სამწუხაროა და გულსაკლავი იმისთანა პირის გარდაცვალება, როგორც არის აწ წინაშე ჩვენსა მდებარე, ახალგაზრდა თავადი გიორგი მელიტონის ძე. შობიდგან ცხრამეტის წლისა, ფრიად სამწუხაროა არა მხოლოდ მშობელთა მისთათვის, არამედ ყველა ჩვენი მამულის შვილისათვის, და ჩვენ ყოველთათვის.

ვხედავთ წინაშე ჩვენსა უხმოდ და უსულოდ მდებარეს, შემკული ყოველის სიკეთით და აღსავსეს დიდის იმედებით ახალ გაზრდა მამულისშვილს, იმ მამულისას, რომელიც უზომოდ საჭიროებს კარგად აღზრდილს, ნასწავლს და ყოველს საგანსა და საქმეში დახელოვნებულ კაცთა. ყოველის ეჭვის გარეშე ჩვენ ვსასოებთ, რომ განსვენებული ესე იქნებოდა ერთი ამისთანა კაცთაგანი; მაგრამ ულმობელმა და შეუბრალებელმა სიკვდილმა ასრე უდროოდ შთანთქა ისთვისს უფსკრულში; დაჭნა იგი, ვითარცა მშვენიერი გაზაფხულის ყვავილი, ვიდრე შესაფერს ნაყოფს მოიტანდა; მოჭკვეთა, ვითარცა ახალ ნერგი და ამ გვარად მოსპო ყოველივე სანუგეშო და სასიქადულო იმედები ამისი, მშობელთა ამისთა და მთელის საზოგადოებისა.—

ვინ არის კაცთა შორის გულთა მხილავი შეიტყოს ის ტკბილი და სასიამოვნო იმედები, რომლითაც იქმნებოდა საესე ბედკრული მიცვალებული? სიყრმიდანვე შეუდგა იგი, ჰსწავლას; იშრომა, იღვაწა, დღე და ღამე გაასწორა, შეისწავლა სხვა და სხვა სამეცნიერო საგნები, ამ მეცნიერებას შესწირა თავის ძალ-ღონე და საუკეთესო დღენი, ცოტა კიდევ და გამოვიდოდა საზოგადო ასპარეზზედ, როგორც ყველა საჭირო იარაღით აღჭურვილი მხედარი, და აი, ამ ასპარეზზედ უნდა განეხორციელებინა ყველა ის ჯერეთ აზრად მქონე იმედები, რომლითაც იყო აღსავსე ამისი გული და გონება; უნდა დამტკბარიყო ქვეყნიურის ბედნიერის ცხოვრებით, ენუგეშებინა, დაეტკბო და გაეხარებინა თვისი მშობელნი და ნათესავნი, მაგრამ ამ მშვენიერს გზაზედ მიმავალს მოხვდა ცელი სიკვდილისა და წაგვართვა იგი.

მშობელნი ამისნი, რომელთ იმედი და ნუგეში იყო ეს ერთი მოსწრებული ძე, რომელზედაც სასოებდნენ, რომლისგანაც მოელოდნენ სახელოვანს

შეილს და ამ სახელოვანი შვილისაგან სიხარულს, ბედნიერებას და ყველა იმ სიკეთეს, რომელიც ქვეყნიურ ცხოვრებაში სულისათვის ტკბილი და სანატრელია, ყველა ეს ერთბაშათ მოუსპო მათ შეუბრალებელმა სიკვდილმა და დასტოვა თავლცრემლიანი. რა ნუგეში უნდა მივსცეთ მათ? ნუგეშად მათდა საკმაოა მისი კეთილი თვისებანი: სიმშვიდე, სიწყნარე, მორჩილება და სიყვარული ღვთისადმი, რომლითაც თამამად წარსდგება ანგელოსთა თანა თვისის ქრისტიანულის ცხოვრებითა და ეს საკმაოა მათთვის სანუგეშოდ.

სიკვდილი მიუცილებელია ყოველი ადამიანისათვის, იგი ნიშნავს გარდასვლას ზეციურსა სამშობლოსა შინა და ქვეყნიური ცხოვრება ჩვენი არის მხოლოდ მოგზაურობა ამა ქვეყანაზედ. დრო მოგზაურობის გათავებისა წინად გაუგებელია, რადგანაც სხვა და სხვა დაბრკოლებანი შეიძლება შეემთხვეს კაცსა.

ამგვარადვე დასასრული მოგზაურობისაცა ჩვენისა ზეციურს სამშობლოისადმი არა უწყებულ არს ჩვენ მიერ და ხშირად სიკვდილი გვეწევა ჩვენ უფრო მაშინ, როდესაც მას არ მოველით. მაგალითი ამ გვარის შემთხვევისა წინ გვისვენია აგერ და აღავსებს გულთა ჩვენთა მწუხარებითა.

იგი წარვიდა მუნ, სადაც ყოველნი განისვენებენ მამანი და ძმანი ჩვენნი; მაგრამ ჩვენ რას გვასწავებს იგი თავის დღევანდელი მდგომარეობითა, რას გვეუბნება იგი ჩვენ თვისი ბნელი კუბოსაგან? გვასწავებს, რომ მუდამ ვემზადებოდეთ ჩვენ განსვლისათვის ამა ქვეყნიდგან, ვემზადებოდეთ კეთილის საქმით აღჭურვას, რათა უშიშრად და დაუბრკოლებელად, გვექმნას მგზავრობა და ცხოვრება სამშობლოსა შინა ზეციურსა, გვასწავებს, რომ ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე ხორციელი, მიწად და ნაცრად გარდავიქცევით. გვეუბნება, აჰა იხილეთ, გუშინ თქვენთანა ვიყავი და დღეს წარველ ზეციურს მამასთან, რომელიც იმ გვარად იღებს შვილთა თვისთა, რა გვარადაც იგინი პატივის ცემით ემზადებოდენ მისასვლელად მასთან; გვეუბნება, რათა განვიდოდეთ ამა სოფლიდგან დამტოვებელნი კეთილისა რაისამე საქმისა, რომელიც ლამპრად მიგვიძღოდეს წინ დროსა მოგზაურობისა ჩვენისა ზეცისადმი.— ეჰვი არ არის, რომ სიკვდილი ყოველის კაცისა შემაძრწუნებელია, მით უმეტეს სიკვდილი დაახლოებული პირისა, ძისა და ნათესავისა. მაგრამ უფრო შემაძრწუნებელია სასოწარკვეთილება ამ შემთხვევაში, რომელიც შეადგენს ნაწილსა ურწმუნოთასა. ამისთვის ნამეტანი გოდება და მწუხარება ერთი რომ საწყენია ღვთისათვის და მეორეც ის უსარგებლოა თვით განსვენებულისათვის.

დავუტეოთ მწუხარება, წრეს გარდამავალი და ნუგეშს ვაძლევდეთ რა ურთიერთს და განსაკუთრებით მისს მშობლებს და მონათესავეებს, ვევედრნეთ სულისათვის მიცვალებულისა, რათა იგი დაამკვიდროს ღმერთმა მუნ, სადაც არა არს ჭირი, არცა მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სახარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი. ამინ.

შესანიშნავი შემთხვევა.

მოგვყავს ერთი შესანიშნავი შემთხვევა რუსული გაზეთ «Свѣтъ»-იდამ. ეს შემთხვევა სწორედ შესანიშნავი არის ჩვენს დროში. შემთხვევა მოხდარა პარიეში. პარიეში ერთ მღვდელთან მივიდა ქალი და სთხოვა თავის ავადმყოფი შვილის ზიარება. მღვდელმა წაიღო ყოველივე საჭირო ზიარებისათვის და გაჰყვა ქალს. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ისინი ძიუახლოვდენ დანიშნულს სახლს, მაგრამ, როდესაც სახლში შევიდნენ, ქალი შეუნიშნავად მიიფარა სადაცა. მღვდელს გამოეგება ერთი აფიცერი, რომელმანც ჰკითხა მიზეზი მისვლისა და ისიც, თუ ვისთან მოვიდა. მღვდელმა უპასუხა, რომ ის მოიწოდა ერთმა ქალმა, რომელიც ავადმყოფი შვილის ზიარებას სთხოვდა და იკითხა, თუ სად არის ავადმყოფი. აქ ჩემს მეტი არავინა სდგას, მიუგო აფიცერმა და მე ავად არა ვარ. მღვდელი მიიწოდა მინ და ბაასში რომ იყვნენ, მღვდელმა შენიშნა ერთი ქალის სურათი, კედელზედ ჩამოკიდებული. აი სწორედ ეს ქალი იყო, მიუთითა სურათზედ მღვდელმა, რომელმანც მთხოვა თავისი ავადმყოფის შვილის ზიარება. აფიცერმა უთხრა მღვდელს, რომ სურათზე დახატულია დედა მისი, რომელიც, დიდი ხანია, მკვდარია. აფიცერი ცოტა დაფიქრდა და შემდეგ სთქვა აღსარება და ეზიარა, თუმცა თავის თავს ავადმყოფად არ გრძნობდა. ეს აფიცერი მეორე დღეს გულის ავადმყოფობით უეცრად გარდაიცვალა.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება» თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება აუზღავს

1., თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა... უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. ბრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ.

(10—9)

წელიწადი IV სამეურნეო გაზეთი წელიწადი IV

„მ ე უ რ ნ ე“

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალ 1891 წ. გამოიცემა იმავე პროგრამმით და სივრცით, როგორც ამ 1890 წ.

ფასი გაზეთისა:

| | თბილისში | | |

მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზედ“

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიაო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა 6 »	— ,, ორივე გამოცემა 4 »
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და საფარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დამატებით ღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან. ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თბილისში**—«წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. 8).
2) **ქუთაისში**—მკ. ნიკოლაძისას.
3) **გორში**—მკ. ფურცელაძისას.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ»*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

შინაარსი: ორ-კლასიანი სამაგალითო სკოლის კურთხევა და გახსნა მარტვილში.—აზრი და გრძნობა ჭეშმარიტი ქრისტიანისა ახალი წლის დამდეგს.—მღვდლის საიდუმლო.—სისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა აღზრდისათვის შვილთა, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.—სიტყვა, თქმული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორისაგან გიორგი მელიტონის ძის მიქელაძის დასაფლავების დროს.—შესამჩნევი შემთხვევა.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 29 Января 1891 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хахановыхъ на Нѣмецкой ул.